სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას ცამეტი წლის თერთმეტ მარტს, ქ. თბილისის ნოტარიუს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვ. კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა შპს „ბ.ბ.ი“-ს დირექტორმა ელგუჯა პაპალაშვილმა, რომელმაც ითხოვა თანხმობის ტექსტის შედგენა და მასზე ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად ელგუჯა პაპალაშვილმა /დაბ. 02.01.1960 წელს, მის. თბილისი, ლილოს დას. II კვ, კორპ. 2, ბინა 27, პ№ 01011043552/, მომმართა.

შევამოწმე ელგუჯა პაპალაშვილის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „ბ.ბ.ი“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 480052, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12057750, ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.04.2012, საიდენტიფიკაციო კოდი: 202052278.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე წინამდებარე თანხმობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ ის ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა, რასაც ვადასტურებ

თანხმობა

ორიათას ცამეტი წლის თერთმეტი მარტი

მე, შპს „ბ.ბ.ი“-ს დირექტორი ელგუჯა პაპალაშვილი ვაცხადებ, რომ შპს „ბ.ბ.ი“ თანახმაა შპს „ლიახვი“-მ (ს/კ 429320148) შპს „ბ.ბ.ი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი № 202052278) კუთვნილ შენობა-ნაგებობაზე, მდებარე: ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი № 01.13.01.022.120) განათავსოს სარეკლამო აბრა და შენობა-ნაგებობის წინ გზა მოაპირკეთოს.

ხელმოწერა: _____

გადახდილია სახელმწიფო 2.00 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, სულ 4.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 და 39 მუხლებისა.

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/